განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

11-12 თებერვალი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

4 მარტი, 2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 24 სექტემბერი 2012; 450

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, სამართლის დოქტორი, კორძაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ამირანაშვილი, სამართლის დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2012 წლიდან.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება სავალდებულო სასწავლო კურსების (167 ECTS კრედიტი) და არჩევითი სასწავლო კურსების /კომპონენტებისაგან (24 ECTS კრედიტი). თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (8 ECTS) და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (9 ECTS). პროგრამაში გათვალისწინებულია უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტი (32 ECTS).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 11-12 თებერვალს ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 11 თებერვალს 10:00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.
ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და წარმომადგენლებთან.
ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.
ვიზიტის მეოთხე პანელში ინტერვიუ შედგა საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.
შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
სამუშაო დღის ბოლოს შედგა შეხვედრა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან.
ვიზიტის მეორე დღეს ინტერვიულ შედგა დამსაქმებელთან. ამავე დღეს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას ონლაინ რეჟიმში (საჯარო სამართლის ლაბორატორია, კრიმინალისტიკის ლაბორატორია, ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, დიპლაბი);
სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

2.3 სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით;
- მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები.

2.3 სტანდარტთან მიმართებაში

რეკომედირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში

რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში.

1.2 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

2.2 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22 კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში

სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით.

5.2 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რაც ასახულია პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამას აქვს 8 მიზანი, საიდანაც ჩანს, თუ როგორი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა იგი მიმართული. მიზნებში წარმოდგენილია, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული. პროგრამის მიზნებში განსაზღვრული კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება თავისთავად ასახავს იმ წვლილს, რასაც პროგრამის კურსდამთავრებული შეიტანს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში (პროგრამის მიზნების მიღწევის შემთხვევაში). უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 1995 წლიდან (აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №450 გადაწყვეტილებით). პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ის აქტივობები, რაც საფუძვლად დაედო პროგრამის შემდგომ მოდიფიკაციას. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია (იხ. <http://law.gtu.ge/>). პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტის მომზადებაზე, რომელიც აღჭურვილია საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და იურისტისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. პროგრამის მიზნები ადეკვატურადაა განსაზღვრული და თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, კერძოდ, წესდების 1-ლი მუხლის 1[1] პუნქტთან, რომლითაც უნივერსიტეტის მისიად აღიარებულია მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის ზოგიერთი ასპექტის ანალიზი, რის ფარგლებშიც შეისწავლა საჯარო და კერძო სექტორში სამუშაო ადგილების მოძიების სხვადასხვა საშუალება, რითაც მოახდინა დღევანდელი შრომის ბაზრის მიერ გამოვლენილი იმ ტენდენციების გაანალიზება, რაც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივასა და პროგრამის განვითარების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 02 აპრილის № 01-05-04/97 დადგენილებით). სამეცნიერო და

საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებით, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და მივლინებების საკითხებზე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან (ვენის მოდულის უნივერსიტეტი, სან პაბლოს უნივერსიტეტი, ჩინეთის ჭეძიანგ კუნგშანგ უნივერსიტეტი, საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტი), თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს და ამ თვალსაზრისით უფრო აქტიურად იმოქმედოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებაზე. ამჟამინდელი მოცემულობით, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებად მოაზრებულია უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტის არსებობა პროგრამაში, თუმცა, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის სხვა ისეთი მექანიზმიც იქნება მასში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • შრომის ბაზრის ანალიზი; • უნივერსიტეტის წესდება; • უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია; • უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებგვერდები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმიც იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოზიდვა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამას გაწერილი აქვს და ორიენტირებულია 10 სწავლის შედეგის მიღწევაზე. პროგრამას თან ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რაც აადვილებს იმ ასპექტების შეფასებას, რომლებიც პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თანხვედრას ადგენს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა არსებითია სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისათვის და ასახავს კავშირს პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან თითოეული სასწავლო კურსის ურთიერთმიმართება ასახულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტით წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმი, რაც შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობის საფუძველს ქმნის. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. უნივერსიტეტმა განახორციელა შრომის ბაზრის ზოგიერთი ასპექტის ანალიზი, მოახდინა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისი შედეგებიც აისახა სწავლის შედეგების შესაბამისად განსაზღვრაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასებას და პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შემუშავებაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების, ჩართულობა. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლასა და კვლევით საქმიანობაში სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს. ყოველი სემესტრის დაწყებამდე, შეფასების პროცესის	

ცალკეულ დეტალს ბრძანებით ადგენს უნივერსიტეტის რექტორი. ბრძანებით განისაზღვრება შეფასების პროცედურების ვადები, შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, შეფასების თითოეულ ფორმაში და, საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სხვ. შემუშავებულია შეფასების მეთოდებისა და შესაბამისი კრიტერიუმების ჩამონათვალი შეფასების დადგენილი ფორმებისა და კომპონენტების მიხედვით. ეს ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე (იხ. <https://gtu.ge/quality/>) და ხელმისაწვდომია როგორც შემფასებლების, ისე სტუდენტებისთვის. კონკრეტული მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების პროგრამებში და პერიოდულად მოწმდება მათი შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. უნივერსიტეტი იყენებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს, როგორიცაა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემაში წარმოდგენილია სამიზნე ნიშნულები და მათი გამოთვლა/დადგენის საფუძველი.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ჩატარებული სწავლების შედეგების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, აყალიბებს რეკომენდაციებს პროგრამის სრულყოფისთვის.
ამასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტ-ნაკლებად იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებდეს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ოქმები;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უსდ-დან იღებს უფრო მეტ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, სამართლიანია, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სტუდენტთა მიღება შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის შიდა

რეგულაციების შესაბამისად წელიწადში ორჯერ. უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ ასახულია პროგრამაში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://law.gtu.ge და საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია არა მხოლოდ პროგრამაზე მიღების პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესახებ, არამედ შეუქმნან კონკრეტული წარმოდგენა და მოლოდინი პროგრამის არსსა და სწავლის შედეგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება განხორციელდა უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესების ამსახველი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ საფუძველზე და ამ დოკუმენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად მოდიფიცირებული სახით დამტკიცდა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის #19 ოქმით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება მოდიფიცირებული პროგრამის შემუშავების პროცესში არამარტო

სხვადასხვა დაინტერესებული პირების ჩართულობა, არამედ მათი რეკომენდაციების შესაბამისი ანალიზი და პროგრამაში ასახვა. უნივერსიტეტმა, ასევე, გამოიყენა პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები - პროგრამა შეფასდა ადგილობრივი დარგის ექსპერტების მიერ და მათი რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებული იქნა პროგრამაში.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი),* სწავლის შედეგებსა *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი)* და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი მოდულებისაგან:

(1) *თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები* (8 ECTS)

(2) *თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები* (9 ECTS)

(3) *უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტი* (32 ECTS)

(4) *ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები* (167 ECTS)

(5) *ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი* (24 ECTS)

აღნიშნული მოდულებიდან სავალდებულო კომპონენტებია:

➢ **სავალდებულო კომპონენტები:**

- ***თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები*** - ჯამში 8 ECTS - მოიცავს გამოყენებითი ინფორმატიკისა (5 ECTS) და აკადემიური წერის ელემენტების (3 ECTS) სავალდებულო კურსებს, რომლებიც ისწავლება სწავლების პირველ წელს. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტების ზოგადტრანსფერული უნარების (საბაზისო წერითი და ზეპირი კომუნიკაციის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების) განვითარებაზე.
- ***უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენის კომპონენტი*** - ჯამში 32 ECTS - აღნიშნული მოდულის ფარგლებში სტუდენტი სავალდებულოდ გადის შემოთავაზებული უცხოური ენიდან ერთი უცხოური ენის - ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის 4 სასწავლო კურსს (2 სასწავლო კურსი (უცხოური ენა B.1.1. და უცხოური ენა B.1.2.) 6 კრედიტისა და 2 სასწავლო კურსი (უცხოური ენა B.2.1. და უცხოური ენა B.2.2.) 5 კრედიტის, ჯამში 22 კრედიტის მოცულობით), რომლებიც გათვალისწინებულია პირველი და მეორე სასწავლო წლისათვის და პროფესიული უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენა იურისტებისათვის 5 კრედიტიან 2 სასწავლო კურსს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), რომლის სწავლებაც ხორციელდება მესამე სასწავლო წელს. უცხო ენის სწავლება ხდება B1.1. დონიდან, პროფესიული უცხოური ენის წინაპირობად კი განისაზღვრება შესაბამისი უცხოური ენა B.2.2.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი უცხო ენის, მათ შორის პროფესიული უცხო ენის, შესწავლის შესაძლებლობას იძლევა და ამ მხრივ სტუდენტებს ფართო არჩევანი აქვთ. თუმცა, სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესებიც, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამდასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22

კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან.

- *ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები* - ჯამში 167 ECTS - ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის გამომუშავებას და მოიცავს სამართლის საბაზისო სასწავლო კურსებს, სასწავლო კურსებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის დისციპლინებში, რომლებიც ლოგიკური თანმიმდევრობით ნაწილდება სწავლების სხვადასხვა სემესტრში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდულის ფარგლებში სწავლების ბოლო - მე-7 და მე-8 სემესტრი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში იმიტირებული პროცესების 3 კრედიტიან სასწავლო კურსების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების 5 კრედიტიანი სასწავლო კურსისა და პროფესიული ეთიკის 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სავალდებულო სწავლებას. აღნიშნული კურსების სწავლება ემსახურება სამართლის სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების და, ზოგადად სწავლის შედეგების, განმტკიცებას.

➢ **არჩევითი კომპონენტები:**

- *თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები* - ჯამში 9 ECTS. აღნიშნული მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული 3 კრედიტიანი 6 სასწავლო კურსიდან პირველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსი და ჯამში დააგროვოს 9 კრედიტი. ამასთან, სტუდენტს შეუძლია, აღნიშნული მოდულის ფარგლებში 6 კრედიტი დააგროვოს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსის - საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიის - გავლის ხარჯზე ან თავისუფალი კომპონენტის მოდულში დასაგროვებელი 9 კრედიტი აითვისოს (ა) უნივერსიტეტში მოქმედი იმავე საფეხურის სხვა პროგრამის სასწავლო კურსების; ან (ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით კრედიტების აღიარების შემთხვევაში საქართველოს ან უცხოეთის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმავე საფეხურის პროგრამის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების გავლის შედეგად დაგროვილი კრედიტების აღიარების შედეგად.
- *ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი* - ჯამში 24 ECTS. აღნიშნული მოდული თავის მხრივ მოიცავს შემდეგი მიმართულების არჩევით კომპონენტებს:

(1) *საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები* (ჯამში 39 ECTS);
(2) *საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები* (ჯამში 30 ECTS);
(3) *კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები* (ჯამში 27 ECTS);
(4) *სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები* (ჯამში 30 ECTS);
(5) *პრაქტიკული კომპონენტი* - ჯამში 12 ECTS (*პრაქტიკული სამართლის კლინიკა* (12 ECTS) და *პრაქტიკა* (12 ECTS)); და
(7) *კვლევითი კომპონენტი* (საბაკალავრო ნაშრომი) (12 ECTS).

შესაბამისად, არჩევითი მოდული მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც სამართლის შესაბამისი მიმართულების ცოდნის შეძენაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ასევე, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება-განმტკიცებაზე მიმართულ კომპონენტებს. აღნიშნული მრავალფეროვნება შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით სამართლის შესაბამის დარგში - საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის არჩევითი მოდულის ფარგლებში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა, არჩევითი მოდულის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტის ათვისებაში ჩართოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და ამ თვალსაზრისით გაიუმჯობესოს კვლევითი უნარი ან/და პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში გაიაროს, მისი არჩევანის შესაბამისად, პრაქტიკული სამართლის კლინიკა ანდა პრაქტიკა. არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება სასწავლო გეგმის

მიხედვით. გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კურსის წინაპირობები და სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა.

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ადექვატურადაა განსაზღვრული. კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობის ჯამს. ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის (როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის) დატვირთვას 25 საათის განმავლობაში.

ამდენად, სავალდებულო კომპონენტების სასწავლო კურსების ჯამური მოცემულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი და მისი ინტერესების შესაბამისად მიიღოს ცოდნა. პროგრამა გამოირჩევა არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში მრავალფეროვანი, სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსების სტუდენტებისათვის შეთავაზებით, რაც, როგორც აღინიშნა, ხელს უწყობს სტუდენტს, საკუთარი ინტერესების შესაბამისი მიმართულებისა და სპეციფიკის სასწავლო კურსების არჩევით თავად მოახდინოს საკუთარი პროფილის ფორმირება.

აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური პროგრამის შედგენის შესაძლებლობას სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, მისი აკადემიური მომზადების დონისა და საჭიროების (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, ჯანმრთელობის პრობლემები და სხვ.) შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ემსახურება, სტუდენტის ინტერესების უზრუნველყოფას და მის დახმარებას კურიკულუმის დაძლევაში.

პროგრამის სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას პროგრამის სწავლის შედეგებთან აღწერილია კურიკულუმის რუკაში. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
- კურიკულუმის რუკა
- სასწავლო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და ამ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის

(ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს (ჯამში 10 კრედიტის მოცულობით), ხოლო უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილი 22 კრედიტის ათვისების შესაძლებლობა ექნებათ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამასთან, ამ შემთხვევაში, ასევე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აღნიშნული 22 კრედიტი, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იქნას უცხო ენის შესწავლის დაწყება საწყისი A1 დონიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სწავლის შედეგები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაში ნათლად ჩანს თითოეული სასწავლო კურსის ლოგიკური ორგანიზება სემესტრების მიხედვით. სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგნის დატვირთვა გამოიხატება კრედიტების სისტემაში (1 (ECTS) კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ სამუშაო დროს), ხოლო სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს.

კურსის შეფასებაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების სისტემა, მათ შორის შუალედური და ფინალური გამოცდები, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, კაზუსის ამოხსნა, საშინაო დავალებები, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და ა.შ.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით ბაკალავრიატის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსები მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში ფუნდამენტური საკითხების მომცველ სასწავლო კურსებსა და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ამასთან არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ შესაბამისი ცოდნა. სასწავლო კურსისათვის შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. აღნიშნულის მიუხედავად, რამდენიმე სასწავლო კურსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებებს:

სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის განახლებისა და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით, კერძოდ:

1. **სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი“:**

სასურველია, სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს:

- ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბ. 2019;
- რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი კაზუსების კრებული, თბ. 2020.

2. **სასწავლო კურსის სილაბუსში - „შრომის სამართალი“:**

რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს ნორმატიული აქტების დასახელება ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში, მაგალითად:

- ევროპის სოციალური ქარტია;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ – საერთაშორისო პაქტი;
- კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ;
- კონვენცია ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ;
- კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ;
- კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ;
- კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ;

- საქართველოს ორგანული კანონი - "შრომის უსაფრთხოების შესახებ";
- საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ";
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #01-15/ნ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის შესახებ.

სასურველია, ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს:

- შველიძე ზ., შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბ. 2020;

3. **სასურველია,** სასწავლო კურსის **„აკადემიური წერის ელემენტები"** სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი ლიტერატურა და კურსის შინაარსი წინამდებარე ლიტერატურაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტებით დაიტვირთოს:

- მეიშვილი, ზ., კალანდაძე ლ., იგაშვილი ნ., ნონიაშვილი გ., წაქაძე ს., ჩიფჩიური გ., სამართლებრივი წერა - სახელმძღვანელო, თბ. 2017;
- ციპელიუსი რ., „იურიდიული მეთოდების მოძღვრება" (გერმ. თარგმნა ლევან თოთლაძემ ; სამეცნ. რედ. მერაბ ტურავა), თბ. 2006.

4. **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსის **„კრიმინოლოგია"** სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში დასახელებული მ. შალიკაშვილის სახელმძღვანელოს 2011 წ. გამოცემა შეიცვალოს შემდეგი განახლებული გამოცემით:

- შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია: სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2017.

5. **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსის **„დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები"** სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები" და სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი ქართულენოვანი ლიტერატურა და კურსის შინაარსი წინამდებარე ლიტერატურაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტებით დაიტვირთოს:

- ყანდაშვილი ი., მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება), გამომც. „იურისტების სამყარო", თბ., 2020.

6. **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსის **„დაზღვევის სამართალი"** სილაბუსის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს სადაზღვევო სამართლის სფეროში არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და კურსის შინაარსი შესაბამის ძირითად ლიტერატურაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტებით დაიტვირთოს.

7. **სასურველია**, სასწავლო კურსის **„ინტელექტუალური საკუთრების სამართალი"** სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და კურსის შინაარსი შესაბამის ლიტერატურაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტებით დაიტვირთოს.

8. **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსების **„სამოქალაქო საპროცესო სამართალი 1"** და **„სამოქალაქო საპროცესო სამართალი 2"** სილაბუსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი ლიტერატურა და კურსის შინაარსი წინამდებარე ლიტერატურაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტებით დაიტვირთოს:

- ჰაგენლოხი უ. და სხვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი: რჩეული მუხლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ., 2020.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

▪ რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლებისა და ნორმატიული მასალის კონკრეტიზაციის მიზნით; ▪ მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები“ სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი საგნების უმეტესი ნაწილი თეორიასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტებით. პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებსაც, რომლებიც მიმართულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება-განმტკიცებაზე. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ბოლო - მე-7 და მე-8 სემესტრი ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში იმიტირებული პროცესების სასწავლო კურსების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სასწავლო კურსისა და პროფესიული ეთიკის სასწავლო კურსის სავალდებულო სწავლებას, რაც ემსახურება სამართლის სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების და, ზოგადად სწავლის შედეგების, განმტკიცებას. აქვე აღსანიშნავია, რომ იმიტირებული პროცესების სტუდენტთა ჯგუფები არ აღემატება 12 სტუდენტის რაოდენობას, რაც, თავისთავად უზრუნველყოფს ამგვარ პროცესებში თითოეული სტუდენტის ადეკვატურად და აქტიურად ჩართვას და იმიტირებული პროცესის სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, იმიტირებული პროცესები ტარდება უნივერსიტეტში არსებულ იმიტირებული პროცესების შესაბამისად აღჭურვილ დარბაზში.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ინტერესის შესაბამისად, სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში აირჩიონ პრაქტიკული სამართლის კლინიკა ან პრაქტიკა. კლინიკა უნივერსიტეტში მოქმედებს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების იურიდიული დახმარების მიზნით და ეფუძნება კლინიკის ე.წ. "live client"-ის მოდელს, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ რეალურ საქმეებზე და ამ პროცესში გამოსცადონ/განავითარონ/განამტკიცონ საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარები. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა მუშაობა კლინიკაში ხორციელდება ორი ადვოკატის ხელმძღვანელობით და სტუდენტებს, ასევე, აქვთ შესაძლებლობა, ადვოკატების მენტორობით, მონაწილეობა მიიღონ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების პროცესშიც. აქვე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე კლინიკა ახორციელებს მხოლოდ კონსულტირებას. უნივერსიტეტს კლინიკისათვის გამოყოფილი აქვს სათანადოდ აღჭურვილი, სტუდენტების სამუშაო და კლიენტთა მისაღები სივრცე.

პრაქტიკის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე, გაიარონ პრაქტიკა საჯარო ან კერძო ორგანიზაციებში უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. აღნიშნული აქტივობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააკეთონ არჩევანი საკუთარი ინტერესის შესაბამისად და პრაქტიკა გაირონ სხვადასხვა დაწესებულებებში. ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ სტუდენტს, რომელიც დასაქმებულია კონკრეტულ ორგანიზაციაში, შესაძლებლობა მიეცემა, გაიაროს პრაქტიკა საკუთარ დამსაქმებელთან იმ პირობით, რომ ამ ორგანიზაციასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდება შესაბამისი მემორანდუმი/ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები არ განსაზღვრავს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, რაც პრაქტიკასთან მიმართებით სავალდებულოდ მოითხოვება სამართლის დარგობრივი მახასიათებლით. ყურადსაღებია, რომ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში განსაზღვრასთან დაკავშირებულ სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სავალდებულო მოთხოვნასთან მიმართებით არაერთ უნივერსიტეტს აქვს პრობლემები, რაც სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, იმით, რომ დამსაქმებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ხელშეკრულებებში სტუდენტთა ზუსტი რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან ინტერვიუს პროცესში განიმარტა, რომ უნივერსიტეტს, როგორც სსიპ-ის ფორმით არსებულ დაწესებულებას, დამატებითი საკანონმდებლო ბარიერები უქმნით პრობლემებს დამსაქმებლებთან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში, მათ შორის სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა, მათთან გაფორმებულ/გასაფორმებელ ხელშეკრულებებში, აისახოს მათ ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლის სურვილის მქონე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები, უნივერსიტეტის ხელშეწყობით, მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს, მათ შორის უნივერსიტეტის გარეთ ორგანიზებულ სხვადასხვა იმიტირებულ პროცესებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების პრაქტიკული უნარების გამომუშავებზე ორიენტირებული ლაბორატორიები, მათ შორის სათანადოდ აღჭურვილი

კრიმინალისტიკის ლაბორატორია, სანოტარო ლაბორატორია, დიპლომატიის ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს, მათი სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ შესაბამისი მიმართულებით განახორციელონ აქტივობები და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაერთონ. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ არჩევით კომპონენტს, რომლის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის ბიუჯეტში არსებული/გამოყოფილი თანხები სამეცნიერო/კვლევითი პროექტების განხორციელებაზე. უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სამართლის აქტუალურ საკითხებზე და, რაც მნიშვნელოვანია, სტუდენტების ჩართულობით. მაგალითისათვის, სტუდენტების მონაწილეობით შეიქმნა და გამოიცა ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარები, განხორციელდა პროექტი „დანაშაულიდან სასჯელამდე“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებთან ერთად ჩართულნი იყვნენ მსახიობებიც და დაიდგა დანაშაულის ჩადენიდან დაწყებული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩატარებული იმიტირებული პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომედირებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში დაზუსტდეს პრაქტიკის გამვლელ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში სტუდენტების გადანაწილებისა და პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული კურსის მიზანი, მისაღწევი შედეგები, მიზნების მიღწევის მეთოდები და გამოყენებული აქტივობები. სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა, ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკა, საკურსო სამუშაო/პროექტი. სასწავლო კურსების სილაბუსებში გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა წიგნზე მუშაობა; როლური და სიტუაციური თამაშები; შემთხვევის ანალიზი; გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა და სხვა. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის (სტუ) სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. სასწავლო კურსი მთლიანობაში ფასდება 100 ქულით. თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესის შესაბამისობა კანონმდებლობასთან დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე მეთოდები. სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს, როგორც ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს, ასევე საშინაო დავალების შესრულებას, ესსეს დამუშავებას, იმიტირებული პროცესს, საჯარო დისკუსიას, კაზუსის ამოხსნას, პრაქტიკული დავალების შესრულებას, ზეპირი გამოკითხვას, დისკუსიას, შემთხვევის განხილვა/ანალიზს, პრეზენტაციას და სხვ.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში, გამოხატავდნენ კმაყოფილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების, მიმართ. პროგრამის განხორციელების ფარგლებში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რაც დეკანის მონაწილეობით სპეციალური კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვას გულისხმობს. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაუზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გასაჩივრებას, თუმცა სასურველია, იგი უფრო მოქნილი გახდეს სტუდენტისთვის; რაც გულისხმობს - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ისეთი გასაჩივრების მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს უფრო მარტივად მიიღოს უკუკავშირი შუალედურ/დასკვნით გამოცდებში დაშვებულ შეცდომებსა და მიღებული შეფასების ობიექტურობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მიერ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის

ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია სტუდენტებისთვის. სტუდენტი იღებს კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად ითვალისწინებს.

სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ხელშეწყობით ყველა ჩამოთვლილი სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. დაწესებულებამ, სამართლის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიკაცია განახორციელა, დამსაქმებელთა, პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად; სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტებზე, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის საწყის ეტაპზე პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენის კურსები, სწავლების შესაბამისი დონეების მიხედვით, ასევე - პროფესიული(დარგობრივი) უცხო ენის(ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) სასწავლო კურსები. სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე და სტუდენტების ინტერესებზე. დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების მიერ. იურიდიული კლინიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს პროფესიულ პრაქტიკულ კურსს, რომლის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში, გამოიმუშაონ პროფესიული ეთიკის უმთავრესი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კურსის განმავლობაში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტები, უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავების საქმისწარმოებაში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით იღებენ მონაწილეობას. სწავლის პარალელურად არსებობს შესაძლებლობა, მოქმედი იურიდიული კლინიკის ფარგლებში, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ნამდვილი საქმეებზე მუშაობაში.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის

უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, საჯარო შეხვედრისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, უნივერსიტეტს გააჩნია კრიმინალისტიკის უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო სხდომის დარბაზი. კრიმინალისტიკის ლაბორატორია სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს იურისტის პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, დაწესებულებას აქვს წვდომა "კოდექსის" პროგრამაზე და იქ განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებზე; საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, როგორებიცაა:

www.Cambridge.org/core
www.dukeupress.edu
www.elgaronline.com/page/70/journals
https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche
www.openedition.org
https://royalsociety.org/journals/
https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier
https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში. სალექციო ცხრილი არის მოქნილი. დაწესებულება ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსება/თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა გაცვლით პროგრამებსა თუ სხვა ტიპის აკადემიურ აქტივობებში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თეზისები, სტატიები. დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სწავლის დასაფინანსებლად.

დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დიდი პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუსის" პროგრამაში, ყავს არაერთი საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით აქტივობებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებას; კარეიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას. უნივერსიტეტის მიერ, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისთვის, ხორციელდება პროექტი «შეხვდი დამსაქმებელს» - აღნიშნული პლათფორმის მეშვეობით, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების, საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები, როგორც პოტენციური დამსაქმებლები მართავენ შეხვედრებს სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან და განიხილავენ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს/საჭიროებებს სხვადასხვა საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ სქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • პროგრამის ბიუჯეტი; • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; • სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან/ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება - პროგრამა ZOOM-ის მეშვეობით; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესორი, 20 ასოცირებული პროფესორი, 6 - ასისტენტ-პროფესორი, 9 ასისტენტი და 49 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 106. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 1531 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,06; აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,046. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის საშუალო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო სივრცეები, საჯარო შეხვედრისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, უნივერსიტეტს გააჩნია კრიმინალისტიკის უახლესი, საერთაშორისო სტანდარტების ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო სხდომის დარბაზი. იმიტირებული სასამართლო დარბაზში სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ბაზებთან, თუმცა სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სამართალის სფეროში ისეთ პოპულარული რესურსების შეძენაზეც, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სახლიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინფრასტრუქტურის ვირტუალური დათვალიერება; • საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესრუსებთან წვდომა; • უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან (online); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან.
რჩევები: სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტი ემსახურება როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების განვითარებას ასევე მობილობის პროცესის ხელშეწყობას და იგი ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე. ხარჯების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია სასწავლო რესურსებზე, კონფერენციებში მონაწილეობაზე, სამეცნიერო სტატიებზე, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებებზე, სტიპენდიები/შეღავათებზე და გაცვლითი პროგრამების დაფინანსებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ სკოლის ბიუჯეტი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სისტემატურ მონიტორინგს, შეფასებას და რეკომენდაციების შეიმუშავებს. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“-ს შესახებ აქტი აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლის (PCDA) პრინციპზე დაყრდნობით. კერძოდ, მასში გათვალისწინებულია თითოეული ციკლის ფარგლებში შესასრულებელი მიმართულებები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათი გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- სერვისების შეფასება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს და მხოლოდ განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც ხელს შეუწყობს ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას. შესაბამისად, სასურველი იყო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების პერიოდში ახორციელებს ექსპერტების მოწვევას და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება; უნივერსიტეტი ორიენტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად სტანდარტების ცვლილებების მიხედვით სწრაფად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში: • საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოხმაურება; • სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოხმაურება.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები გადაეცემა ადმინისტრაციას რომელიც, საჭიროებისამებრ, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარების მიზნით. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტთა გამოკითვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ბოგვერაძე

გიორგი ამირანაშვილი

თათია უბერი